მარო თარხნიშვილის პირადი საარქივო ფონდი
ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. მარო თარხნიშვილის თხონა მთავარ სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარისადმი, ძველი ქართული ხალხური სიმღერების კურსების გახსნასთან დაკავშირებით.
   1922 წ. 6 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. დადებითი რეზოლუციით – ხელს აწერენ: გრიგოლ რობაქიძე, შალვა დადიანი. 1 გვ.

2. მარო თარხნიშვილის განცხადება მთავარ სახელოვნო კომიტეტისადმი, თბილისსა და საქართველოს პროვინციებში კონცერტების ჩატარებასთნ დაკავშირებით.
   1923 წ. 29 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

3. მარო თარხიშვილის თხოვნა მთავარ სახელოვნო კომიტეტისადმი, დასავლეთ საქართველოში გასტროლებთან დაკავშირებით, გადასახადების მოხსნასა და შეღავათიან ფასებში თეატრის შენობების დათმობის შესახებ.
   1923 წ. 30 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. ხელს აწერს დადებითი რეზოლუციით მთ. სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე – მელიტონ ბალანჩივაძე. 1 გვ.

4. მთავარი სახელოვნო კომიტეტის მიერ გაცემული მოწმობა მარო თარხნიშვილისადმი, კონცერტების გამართვასთან დაკავშირებით.
   1923 წ. 30, 31 აგვისტო. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერენ: მთ. სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე – მელიტონ ბალანჩივაძე, მდივანი – ნახუცრიშვილი. 2 გვ.

5. საქართველოს ფილარმონიისა და ესტრადის სახელმწიფო გაერთიანების დირექციის მიერ გაცემული მისალოცი ადრესი, მარო თარხნიშვილისა და ეკატერინე თარხნიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
   1937 წ. 9 იანვარი. თბილისი. დასტამბული. 1 ც.

6. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანება, მ. თარხნიშვილის ხელმძღვანელობით არსებული მომღერალთა გუნდის საგუნდო გაერთიანებაში გადაყვანასთან დაკავშირებით.
   1937 წ. 19 ნოებერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

7. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანება მ. თარხნიშვილის მომღერალთა ქართლ–კახური გუნდის შემადგენლობის ხელმძღვანელის (მ. თარხნიშვილი) ხელფასის (1000 მან.) დამტკიცების შესახებ.
   1938 წ. 15 ივლისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. 1 გვ.

8. საქართველოს სახელმწიფო ესტრადის მიერ გაცემული საყვედურის ბრძანება, ქართლ–კახური მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელად მ. თარხნიშვილისადმი გუნდის გასტროლების დროს სახესტრადის ავტორიტეტის დაცემისა და სუსტი დისწიპლინის შესახებ.
   1940 წ. 10 სექტემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

9. მარო თარხნიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1940 წ. 29 ოქტომბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

10. საქართველოს სახელმწიფო ესტრადის მიერ გაცემული ბრძანება (ამონაწერი), ქართლ–კახური მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელ მ. თარხნიშვილისადმი გამოცხადებული საყვედურის მოხსნასთან დაკავშირებით.
    1941 წ. 23 აპრილი. ნაბეჭდი. 1 გვ.

11. მარო თარხნიშვილის ავტობიოგრაფია.
    1947 წ. 2 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.

12. მარო თარხნიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
    1947 წ. 2 ოქტომბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

13. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ისიდორე დოლიძის შუამდგომლობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, მარო თრხნიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 35 წლის იუბილეს აღნიშვნასთან დაკავშირებით.
    1951 წ. 13 თებერვალი. ნაბეჭდი. 2 გვ.

14. მარო თარხნიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
    13 თებერვალი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

15. მარო თარხნიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
    3 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. (ერთვის ფოტო). 4 გვ.

16. მთავარ სახელოვნო კომიტეტის მიერ გაცემული მოწმობა მარო თარხნიშვილისადმი, ძველი ქართული ხალხური სიმღერების კურსების გახსნასთან დაკავშირებით.
    უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

17. მარო თარხნიშვილის ავტობიოგრაფია.
    უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ. (2 ეგზ.).

18. მარო და ეკატერინე თარხნიშვილების მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს პროგრამა.
    1937 წ. 9 ივნისი. დასტამბული. 1 ც.

19. მარო თარხნიშვილის დაბადებიდან 60 წლსთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათი.
    1956 წ. 24 დეკემბერი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც. (2 ეგზ.)